საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა

"18" 04 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 55 7/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 10 აპრილის N 15396, 538 განცხადებით „ზე პროქტერ & გემბლ კომპანის" (მის: უან პროქტერ & გემბლ პლაზა, ცინცინატი, ოჰაიო, აშშ) წარმომადგენელმა დავით კაკაბაძემ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „HEAD & SHOULDERS" (რეგ. N 267) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „HEAD & SHOULDERS" (რეგ. N 267) საქართველოში რეგისტრირებულია 04.11.1994 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 04.11.2014 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „HEAD & SHOULDERS" (რეგ. N 267) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადით 04.11.2014 წლამდე (მოთხოვნის რეგისტრაციის N 214, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 17.04.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; „ზე პროქტერ & გემბლ კომპანის" წარმომადგენელს დავით კაკაბაძეს (მის: კოტე აფხაზის 44, 0104, თბილისი, საქართველო).

სწორი დედანთან სწორია
18 04 2013წ.